

**Conference Proceedings on the Presentation:
"Strengthening Child and Family Systems in Georgia"**

19 March, 2024

**Social Work International Scientific & Practice-Based Conference on
Transformative Change for Child and Family Well-Being**

Authors:

Namitcheishvili S., Partskhaladze, N., Sadzaglishvili S., Shatberashvili, N., Shekriladze, I.

Introduction

The social work profession took root in Georgia during the latter half of the 20th century, primarily in response to the need for reform in child welfare. Significant milestones include the establishment of professional social work association, the inception of social work academic programs, and the enactment of Georgian laws specifically pertaining to social work. Development of social work practice has extended into various areas, including child welfare, education, and justice. Collaboration among professionals, state entities, and international donors has been instrumental in advancing both social work education and practice, ensuring alignment with global standards.

Despite facing numerous challenges, it is important to underscore the various achievements highlighted in the presentation titled "Strengthening Child and Family Systems in Georgia," as well as in this article. This presentation was delivered on March 19, 2024, at the Social Work International Scientific & Practice-Based Conference on Transformative Change for Child and Family Well-Being. The conference was dedicated to the enduring memory of one of the pioneering social workers, Maya Mgliashvili, and coincided with the Global Day of Social Work.

This article discusses the development of social work specializations within the state child care system, unified approaches to assessing and responding to the risk of child and adolescent suicide

across all state sectors, and the modernization of social work practices within the education system. These initiatives establish a strong foundation for advancing certain aspects outlined in the Georgian law on social work and serve as a promising model for other countries seeking similar reforms.

Professional Specialization within the State Care Agency

The development of social work practices began in Georgia with the restructuring of the child welfare division of the Ministry of Education and Science, which was responsible for the deinstitutionalization reform in childcare. This reform was closely linked to the deinstitutionalization policy pursued in Georgia. With support from international partners, work commenced on the deinstitutionalization of children, a process that involved a significant number of children placed in state care institutions. Active efforts were initiated to explore alternative forms of care for children. In 1999, Georgia adopted legislation on foster care, necessitating the establishment of a social work institute for its implementation. In 2000, the pilot project for deinstitutionalization was launched in three cities: Tbilisi, Telavi, and Rustavi, with support from the government of Georgia, UNICEF, and the British charitable organization "EveryChild." Eighteen individuals were trained specializing in social work for children's welfare and were selected to lead the initiative. Their task was to address the reintegration of children into families, prevent institutionalization, and ensure the well-being of children at risk of institutionalization. Their challenge included reintegrating children into biological families or identifying foster families willing to care for children, especially those for whom reintegration was not feasible due to family circumstances or posed a risk of re-institutionalization (GASW, 2021).

In the ongoing reform of the child welfare system in the country, there has been significant attention to enhancing the professional competencies of social workers and developing programs tailored to meet the needs of families.

Since 2005, the Government of Georgia has been actively pursuing the implementation of child welfare reforms throughout the country with the support of international donors. A significant outcome of these reforms was the transfer in 2009 of the unit responsible for child welfare to the Ministry of Labor, Health, and Social Affairs. This transfer also saw an increase in the functions of social workers. In addition to child welfare, they were tasked with guardianship and care of vulnerable adults, handling domestic violence cases, identification of socially neglected elderly individuals, and conducting assessments of their needs.

As a result, in 2009, the Social Service Agency's responsibility for guardianship and social programs was implemented, replacing the Department of Child Welfare. However, in 2020, the aforementioned function transitioned to the State Care Agency.

In Georgia, the implementation of generic social workers (every social worker working on all types of cases) within the State Care Agency has faced significant criticism in the professional and public spheres. Studies conducted in the past few years have confirmed the ineffectiveness of social work activities of this kind (Coalition for Children and Youth of Georgia, 2020). In response to these challenges, the State Care Agency piloted new specializing approach in social work service delivery in Tbilisi from February 2021 and from August 2021, in Rustavi, Kutaisi, Batumi, Zugdidi, and Telavi. The new model anticipated dividing social work services into two specialized directions. This division aimed at enhancing the quality of social work services, including significant improvements in response to emergencies and timely reactions. On one hand, it involved ensuring more substantial and prompt responses to various situations, and on the other hand, it focused on increasing the efficiency of social workers' performance and reducing turnover in the workforce. Specifically, two new divisions were established in service centres. These divisions were: (1) the Division of Child Care and Protection, and (2) the Division of Support, Legal/Civil Representation, Execution. The mentioned changes facilitated a more

effective engagement and response of social workers employed in the field of child care and protection.

Standardization of Suicide Risk Assessment and Response Protocols for Children and Adolescents in State Social Work Services

Several national entities serve vulnerable children and adolescents and aim to improve their well-being in specific ways. Apart from the State Care Agency, whose primary focus is child protection and welfare, these entities include: National Agency for Crime Prevention, Execution of Non-Custodial Sentences and Probation serving children in contact with the law and Psycho-Social Service Center of the Office of Resource Officers of Educational Institutions, whose primary focus is to support school children with psychological and behavioural challenges. These agencies, within their competencies and responsibilities, assess the well-being of a child (sometimes also the families) and tailor service delivery plans accordingly.

Despite in many cases serving one and the same group - children with complex needs – and tackling similar issues, unified, standardized assessment and data management systems and coordinated referral practices are less common. For instance, the mental and behavioural health of children is a cross-cutting issue for all three agencies.

With the involvement and support of social work experts from Georgian Association of Social Workers and funding from UNICEF, the assessment and response protocol for children/youth at risk of suicide has been developed and implemented in all three relevant government agencies. The implemented work included the following: (1) Modification of the Suicide Risk Assessment Protocol (ASAP) and tailoring to the target groups of these agencies. (2) Internal operational protocol development for these agencies, specifying the circumstances under which suicide risk assessment should occur, type of intervention to be implemented, as well as the terms of reassessment; (3) Development of a detailed guideline for specialists; (4) A 2-day training for

specialists on issues related to suicide and the use of assessment forms; (5) Supervision of specialists during the pilot phase.

The implementation of the Suicide Risk Assessment Protocol in three governmental agencies exemplifies a promising practice of institutionalization of unified evaluation and standardized response approach fostering collaboration among systems serving vulnerable children and adolescents.

Social Work in the Field of Education

Social workers have been functioning in the education system of Georgia since 2019. They are employed in the Psychological and Social Service Center of the Office of Resource Officers of Educational Institutions. The center operates in ten cities across Georgia. At present, there are 62 social workers employed within the system.

Their work aligns with the concept and standards of social work within the general education system¹. They play roles as educators, consultants, reformers, and advocates. Social workers strive to integrate their professional expertise, ethical values, and knowledge into the school environment, aiming to enhance the overall well-being of students.

Social workers operate at three levels in schools: preventive, proactive, and reactive. Current reforms in children's welfare and justice have emphasized the critical importance of robust preventive work, highlighting the necessity of assessing and improving such practices (Partskhaladze, Shatberashvili, 2023; Sadzaglishvili, Gigineishvili, 2023). Therefore, a robust framework has been established for the advancement of social work at this level. The role of

¹ Directive on the Establishment of Professional Standards for Social Work and Organizational-Technical and Infrastructural Support Rule, 2021.

social workers at the preventive level is paramount for the timely identification of issues and the implementation of effective response strategies (Ostaszewski, et al, 2018).

Social workers play an active role in formulating preventive measures concerning a range of issues within the school environment. This includes addressing academic success factors, promoting prosocial behaviors, and fostering constructive relationships among various stakeholders. Additionally, they are instrumental in managing crisis situations, addressing risk behaviours, and implementing strategies to prevent school absences. They work collaboratively with students, teachers, other school staff, and parents. They operate both individually and through group intervention methods to address various issues within the school environment.

Social workers in the school are also involved in providing support to students who have been referred from other schools to the center, either through direct referrals or self-referrals. They serve these students within the system upon entry, according to the guidelines of the Psychological Service Center. The regulation defines the principles of internal referrals and the format of multidisciplinary work among different specialists within the center. It also standardizes the procedure for redirecting clients to other service provision areas within other agencies.

Annually, more than 5000 students receive services at the Psychological Service Center². The identification of issues in referred children mainly happens through the school, with a smaller portion being referred directly to the service. Since 2019, the proportion of self-referrals has been steadily increasing. From certain schools, there are more referrals than from others. This heightened level of referrals from certain schools is a direct result of the dedicated efforts of social workers. It serves as evidence that helping professionals, beyond simply identifying issues and providing services, are actively fostering a positive outlook toward service delivery. A social

²LLEP Office of Resource Officers of Educational Institutions' Report 2023

worker fulfills their primary function within the scope of their professional mandate - they serve in a supportive role (Staub-Bernasconi, 2010). Absolutely, ensuring that social work practice aligns with this conceptual framework is essential. Moreover, there continues to be a certain stigma associated with mental health and/or psychiatric services in Georgia. With this approach, there is still significant work to be done (Bucci, Marques, Oh, Harris, 2016; Jansson, 2016).

Among the referred cases, emotional problems, disruptive behavior, communication issues, and aggression prevail. In the system, there have been cases of vulnerable children, such as Ukrainian refugees. Specific knowledge is required to work on these problems. Accurately identifying the root problem, guiding the child to relevant specialists and/or agencies, positively impacts the child's situation. Preventing or addressing risky behaviors and emotional problems in childhood is more manageable, as well as implementing reactive strategies. Based on the background of emerging needs, acquiring relevant knowledge is essential for effective service delivery. This is a crucial predictor for curriculum review for academia.

Conclusion

Recognizing that the well-being of children and their families is central to achieving the goals of the 2030 Agenda for Sustainable Development, effective delivery of social services is crucial to fulfil 65 percent of the objectives of sustainable development (UNICEF & GSSWA, 2019). Therefore, ensuring the development of child and family systems and effective social work strategies for children and their families holds significant importance for the government to fulfil its acquired responsibilities. The issues discussed in the article highlight the critical role of effective practice in social work, which, in turn, is a significant determinant of the well-being of children, families, and the future of Georgia.

Bibliography

Bucci, M., Marques, S. S., Oh, D., Harris, N. B. (2016). Toxic Stress in Children and Adolescent. *Advances In Pediatrics*, 63 (1), 403-428.

Global Civil Society Report on the 2030 Agenda and the SDGs (2021). Spotlight on Sustainable Development. 2030 Spotlight

Jansson, B.S. (2016). Social Welfare Policy and Advocacy. SAGE

Partskhaladze, N., Shatberashvili, N. (2023). History of Social Work Development in Georgia. *Socialinis Darbas*, Vol.(29). 1, 9-28. <https://doi.org/10.7220/2029-5820.29.1>

Public Defender Office. (2017). Violence Against Children in General Educational Institutions
Ostaszewski, K., Ferimc, M., Foxcroft, D.R., Kosir, M., Kranzelic, V., Mihic, J., Novak, M.,
Pisarska, A., Talic, S. (2018). European Prevention Workforce Competencies and Training
Needs: an Exploratory Study. *Adiktologie*, 18 (1), 07-15.

Sadzaglishvili, S., Gigineishvili, K. (2023). Georgian Social work Development: from Micro to
Macr Social Work Rolles. In K., Majumddar, R. Baikad, & A.A., D'Souza (Eds.), *Indigenizarion
Discourse in Social Work: Inyernational Perspectives* (pp. 67-83). Springer.

Staub-Bernasconi, S (2010). *Ethical Dilemmas in Social Work: International Perspective* (pp.25-
38). Faculty of Social Work, University of Ljubljana.

საქართველოს სოციალიურ მუშაკთა ასოციაცია (2011). სოციალური მუშაობის
სიტუაციური ანალიზი. თბილისი

მოხსენება თემაზე:
„ბავშვებისა და ოჯახებისთვის სისტემების გაძლიერება საქართველოში“
19 მარტი, 2024

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
„ცვლილებები ბავშვთა და ოჯახთა საკეთილდღეოდ“
ავტორები:

ნამიჭეიშვილი, ს., საძაგლიშვილი, შ., ფარცხალაძე, ნ.; შატბერაშვილი, ნ.; შეყრილაძე, ი.

შესავალი

საქართველოში სოციალური მუშაობის პროფესიის განვითარების ისტორიას საფუძველი ჩაეყარა მეოცე საუკუნის ბოლო წლებში და ის უკავშირდება ქვეყანაში ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმირების დაწყებას. აღსანიშნავია ბოლო ათწლეულების ისეთი მიღწევები, როგორებიცაა სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დაარსება, სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამების დანერგვა, სოციალური მუშაობის კანონის მიღება, ბავშვთა კეთილდღეობის, განათლების, კანონთან კონტაქტში მყოფ პირებთან მუშაობის და სხვა მიმართულებებით სოციალური მუშაობის პრაქტიკის განვითარება. პროფესიული თემის, სახელმწიფო სტრუქტურებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ძალისხმევით, გრძელდება სოციალური მუშაობის განათლებისა და პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვებაზე მუშაობა.

ამ მიმართულებით მრავალი გამოწვევის მიუხედავად, ხაზგასასმელია სფეროს განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სიახლეები, რომლებიც განხილულია მოხსენებაში სათაურით „ბავშვებისა და ოჯახებისთვის სისტემების გაძლიერება საქართველოში“ და წარმოდგენილ დოკუმენტში. 2014 წლის 19 მარტს მოხსენება წარდგენილ იქნა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე - „ცვლილებები ბავშვთა და ოჯახთა საკეთილდღეოდ,“ რომელიც ეძღვნებოდა საქართველოში სოციალური მუშაობის ერთ-ერთი პიონერის, მაია მგელიაშვილის ხსოვნასა და სოციალური მუშაობის მსოფლიო დღის აღნიშვნას.

სტატიაში განხილულია ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში პროფესიული სპეციალიზაციის დანერგვა, სახელმწიფო უწყებებში ბავშვთა და მოზარდთა სუიციდის რისკის შეფასებისა და რეაგირების უნიფიცირებული მიდგომების დამკვირდება და განათლების სისტემაში სოციალური მუშაობის თანამედროვე პრაქტიკის განვითარების პროცესი. განხილული პროცესები ქმნის მყარ საფუძველს საქართველოს სოციალური მუშაობის კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი პრიორიტეტული მიმართულების უკეთ განსავითარებლად და წარმოადგენს კარგ მაგალითს აღნიშნული სფეროების რეფორმირებით დაინტერესებული სხვა ქვეყნებისთვის.

პროფესიული სპეციალიზაცია სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში

სოციალური მუშაობის განვითარება საქართველოში დაიწყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვეშ არსებული ბავშვზე ზრუნვის განყოფილების რეფორმიდან, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოში დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის გატარებას. საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით ბავშვზე ზრუნვის განყოფილებამ, რომლის დაქვემდებარებაშიც იყო დიდი ზომის სააღმზრდელო დაწესებულებების დიდი ნაწილი, აქტიურად დაიწყო ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების შემუშავებაზე მუშაობა. საქართველომ 1999 წელს მიიღო კანონი შვილობილობის შესახებ, რომლის აღსრულებისთვისაც საჭირო იყო სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა. 2000 წელს საქართველოს მთავრობის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბრიტანული ორგანიზაცია “ევრი ჩაილდის” მიერ დაიწყო დეინსტიტუციონალიზაციის პილოტური პროექტის განხორციელება სამ ქალაქში: თბილისში, თელავსა და რუსთავში. შეირჩა 18 უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომლებიც გადამზადნენ ვიწრო პროფილით – სოციალური მუშაობა ბავშვთა კეთილდღეობაში ბრიტანული ორგანიზაცია „ევრი ჩაილდის“ მიერ. მათი ამოცანა იყო ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან ბავშვების რეინტეგრაცია ოჯახებში, ბავშვთა ინსტიტუციონალიზაციის პრევენცია და იმ ბავშვების შვილობილობაში განთავსება, რომელთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრაცია შეუძლებელი იყო ან რომლებიც ინსტიტუციონალიზაციის რისკის წინაშე იდგნენ (სსმა, 2021).

ქვეყანაში მიმდინარე ბავშვთა ზრუნვის სისტემის დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის მიზნებიდან გამომდინარე, დასაწყისშივე დიდი ყურადღება ექცეოდა სოციალური მუშაკების პროფესიული კომპეტენციების და ოჯახის საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერი პროგრამების განვითარებას.

2005 წლიდან მთავრობა შეუდგა მთელი საქართველოს მასშტაბით ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის განხორციელებას საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით. ამ რეფორმის მნიშვნელოვანი შედეგი იყო 2009 წელს ბავშვზე ზრუნვის ერთეულის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადასვლა. გადასვლასთან ერთად გაიზარდა სოციალური მუშაკების ფუნქციები. მათ გარდა ბავშვზე ზრუნვისა დაევალებათ ზრდასრულთა მეურვეობა/მზრუნველობასთან, ოჯახურ დავებთან, სოციალურად დაუცველ ხანდაზმულთა იდენტიფიცირებასთან და მათი საჭიროებების შეფასებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

ამრიგად, 2009 წელს ამოქმედდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტი, რომელმაც ჩაანაცვლა ბავშვზე ზრუნვის დეპარტამენტი. 2020 წელს კი აღნიშნული დეპარტამენტი გადავიდა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში (სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო).

საქართველოში სოციალური კეთილდღეობის სისტემაში სოციალური მუშაკების ერთიან პროფილურ მიდგომაზე დაფუძნებული საქმიანობა იწვევდა დიდ კრიტიკას პროფესიულ საზოგადოებაში და მიმდინარე წლებში ჩატარებული კვლევები ადასტურებდნენ სოციალური მუშაობის არაეფექტურობას (საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდათა კოალიცია, 2020). ამ გამოწვევების საპასუხოდ, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში 2021 წლის თებერვლიდან თბილისში, ხოლო 2021 წლის აგვისტოდან რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში და თელავში განხორციელდა საქალაქო ცენტრების ახალი მოწყობის პილოტირება სპეციალიზაციის მიხედვით. ახალი მოდელი ითვალისწინებდა საქალაქო ცენტრებში სოციალური მუშაობის მომსახურების ორი სპეციალიზაციის მიმართულებით დაყოფას. მიმართულებებად დაყოფა ემსახურება სოციალური მუშაობის მომსახურების ხარისხის გაზრდას, მათ შორის ეს არის, ერთი მხრივ, შემთხვევებზე მყისიერი და დროული რეაგირების უზრუნველყოფას და, და, მეორე მხრივ, სოციალური მუშაკების სამუშაო კმაყოფილების გაზრდა და სამუშაოდან სოციალური მუშაკების გადინების შემცირება. კერძოდ, საქალაქო ცენტრებში ამოქმედდა ორი ახალი განყოფილება. ეს განყოფილებებია: (1) ბავშვზე ზრუნვის და დაცვის განყოფილება და (2) მხარდაჭერის, სასამართლო/სამოქალაქო დავების და აღსრულების განყოფილება. აღნიშნულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ბავშვზე ზრუნვის სფეროში დასაქმებული სოციალური მუშაკების უფრო ეფექტურ ჩართვას ქვემოთ განხილულ ინიციატივებში.

სახელმწიფო უწყებებში ბავშვთა და მოზარდთა სუიციდის რისკის შეფასებისა და რეაგირების უნიფიცირებული მიდგომების დამკვირდება

არაერთი სახელმწიფო სისტემა ემსახურება მოწყვლად ბავშვებსა და მოზარდებს და მიზნად ისახავს გარკვეული კუთხით მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს გარდა, რომლის მთავარი ფოკუსია ბავშვთა დაცვა და ბავშვთა კეთილდღეობა, ეს უწყებებია: დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, რომელიც ემსახურება კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებს; და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრი, რომლის ფოკუსიცაა სასკოლო ასაკის ბავშვების დახმარება ფსიქოლოგიური და ქცევითი სირთულეების დაძლევაში. აღნიშნული უწყებები საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ ბავშვის (ზოგჯერ ასევე ოჯახის) მდგომარეობის შეფასებას და ავითარებენ მომსახურების გეგმას.

მიუხედავად იმისა, რომ უწყებები არცთუ იშვიათად ერთსა და იმავე სამიზნე ჯგუფს ემსახურებიან - ბავშვებს კომპლექსური საჭიროებებით - და ხშირად იდენტურ გამოწვევებთან უწევთ გამკლავება, ნაკლებად გვხვდება ერთიანი, უნიფიცირებული შეფასების და მონაცემთა მართვის სისტემები და კოორდინირებული ჩარევის პრაქტიკა. მაგალითისათვის, ბავშვთა ფსიქიკური და ქცევითი ჯანმრთელობა სამივე უწყებისათვის უაღრესად აქტუალური საკითხია.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ექსპერტთა ჩართულობითა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა ბავშვთა/მოზარდთა სუიციდის რისკის შეფასებისა და რეაგირების პროტოკოლის შემუშავება და დანერგვა აღნიშნულ სამ სახელმწიფო უწყებაში. განხორციელებული სამუშაო მოიცავდა შემდეგს: (1) მოზარდთა სუიციდური შეფასების პროტოკოლის (ASAP) - შეფასების ფორმის - მოდიფიცირება და მორგება უწყებათა სამიზნე ჯგუფთან; (2) უწყებათა შიდა სამოქმედო პროტოკოლის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს, რა შემთხვევებში ხორციელდება სუიციდის რისკის შეფასება და რისკის გამოვლენის საფუძელზე, როგორი უნდა იყოს ჩარევა; ასევე რა პერიოდულობით უნდა განხორციელდეს ხელახალი შეფასება; (3) დეტალური გზამკვლევის შემუშავება სპეციალისტებისთვის; (4) სპეციალისტების 2-დღიანი ტრენინგი მოზარდთა სუიციდთან დაკავშირებულ საკითხებსა და შეფასების ფორმის გამოყენებაზე; (5) პილოტირების ეტაპზე სპეციალისტების სუპერვიზია.

მოზარდთა სუიციდის რისკის შეფასების პროტოკოლის დანერგვა სამ სახელმწიფო უწყებაში წარმოადგენს შეფასების ერთიანი და უნიფიცირებული მიდგომის დანერგვის იმედისმომცემ მაგალითს და წინგადადგმულ ნაბიჯს მოწყვლად ბავშვებსა და მოზარდებთან მომუშავე სისტემების კოორდინირებული რეაგირებისაკენ.

სოციალური მუშაობა განათლების სფეროში

სოციალური მუშაკები განათლების სისტემაში 2019 წლიდან ფუნქციონირებენ საქართველოში. ისინი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში არიან დასაქმებულნი. ცენტრი საქართველოს ათ ქალაქში ფუნქციონირებს. ამჟამად სისტემაში 62 სოციალური მუშაკია დასაქმებული.

მათი საქმიანობა ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაობის კონცეფციასა და სტანდარტებზე დაყრდნობით. ისინი არიან განმანათლებლების, კონსულტანტების, რეფორმატორების, უფლებადამცავების როლში. სოციალური მუშაკები ცდილობენ მათი პროფესიული ღირებულებებით ნაკარნახევი ფასეულობებისა და ცოდნის ინტეგრირებას სასკოლო ცხოვრებაში.

სოციალური მუშაკები სკოლებში სამ დონეზე მუშაობენ: პრევენციულ, პროაქტიულ და რეაქტიულ დონეზე. მიმდინარე ბავშვთა კეთილდღეობისა და მართლმსაჯულების რეფორმებმა ნათლად ცხადყო სუსტი პრევენციული მუშაობის უარყოფითი შედეგები და გამოკვეთა ამგვარი მუშაობის განვითარების აუცილებლობა (Partskhaladze, Shatberashvili, 2023; Sadzaglishvili, Gigineishvili, 2023). შესაბამისად, მსუყე ნიადაგი მომზადდა პროფესიის ამ დონეზე განვითარებისათვის. სოციალური მუშაკების მიერ პრევენციულ დონეზე მუშაობა უმნიშვნელოვანესია პრობლემების დროული იდენტიფიცირებისა და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველყოფისთვის (Ostaszewski, et al, 2018).

სოციალურ მუშაკებს აქტიური როლი აქვთ აკადემიური წარმატების ხელშემწყობი ფაქტორების, პროსოციალური ქცევების, სკოლის სხვადასხვა აქტორს შორის ჯანსაღი დამოკიდებულებების ფორმირებასა და კრიზისული სიტუაციების, სარისკო ქცევების და სკოლის გაცდენების პრევენციაში. ისინი ბავშვებთან ერთად, მუშაობენ მთელს სასკოლო თემთან: სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან, სკოლის სხვა პერსონალთან, მშობლებთან. ისინი მუშაობენ, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის მეთოდით.

სამუშაოდ მივლენილ სკოლაში სასკოლო დონეზე მუშაობის გარდა, სოციალური მუშაკები სხვა სკოლებიდან ცენტრში რეფერირებულ ან თვითმომართვით მოსულ მოსწავლეებსაც ემსახურებიან სისტემაში შემოსვლისთანავე, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის წესის თანახმად. წესი განსაზღვრავს ცენტრის სხვადასხვა სპეციალისტს შორის შიდა რეფერირების პრინციპებსა და მულტიდისციპლინური მუშაობის ფორმატს. ის ასევე არეგულირებს მომსახურების მიმღების სხვა უწყებებში გადამისამართების პროცედურას.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში წლიურად 5000-ზე მეტი მოსწავლე იღებს მომსახურებას. მომსახურების მისაღებად რეფერირებულ ბავშვთა პრობლემების იდენტიფიკაცია ძირითადად სკოლის მიერ ხდება, მცირე ნაწილი კი სამსახურს თვით-რეფერირებით მიმართავს. 2019 წლიდან თვითრეფერირების წილი მუდმივად იზრდება, ზოგიერთი სკოლიდან შეტყობინების მაჩვენებელიც საგრძნობლად აღემატება სხვას. ეს სკოლებში სოციალური მუშაკების ინტენსიურ მუშაობას მიეწერება და ცხადყოფს მხარდამჭერი პროფესიების წარმომადგენელთა ძალისხმევას არა მხოლოდ პრობლემების ამოცნობასა და მომსახურების მიწოდებაში, არამედ მათ დადებით ზეგალენას მომსახურებისადმი წინასწარი დადებითი განწყობების ფორმირებაში. სოციალური მუშაკი, მისი პროფესიული მანდატის მთავარ ფუნქციას აღასრულებს - ის მხარდამჭერის როლშია (Staub-Bernasconi, 2010). შესაბამისად, სოციალური მუშაობის მომსახურების ამგვარ პროფესიულ კალაპოტში შენარჩუნება მნიშვნელოვანია. მით უფრო, რომ საქართველოში კვლავ არსებობს გარკვეული სტიგმა ფსიქოსოციალური და/ან მენტალური ჯანმრთელობის მომსახურებით სარგებლობისადმი. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა გასაწევი.

გადმომისამართებულ შემთხვევათა შორის ჭარბობს ემოციური პრობლემები, დესტრუქციული ქცევა, კომუნიკაციის პრობლემები, ძალადობა. სისტემაში გამოჩნდნენ ისეთი მოწყვლადი ბავშვებიც, როგორცაა უკრაინელი ლტოლვილები. ამ პრობლემებზე მუშაობას სპეციფიკური ცოდნა სჭირდება. წამყვანი პრობლემის სწორად იდენტიფიცირება, მის მოგვარებაზე პასუხისმგებელ სპეციალისტთან და/ან უწყებაში ბავშვის მართებულად დაკავშირება დადებითად აისახება მის მდგომარეობაზე. ბავშვობის ასაკში სარისკო ქცევების და ფსიქომოციური პრობლემების გამწვავების

არიდება და/ან პრევენცია კი, ისევე როგორც რეაგირებითი მექანიზმების ამოქმედება გაცილებით იოლია (Bucci, Marques, Oh, Harris, 2016; Jansson, 2016). წარმოჩენილი საჭიროებების ფონზე, ნათლად იკვეთება მომსახურების მიწოდებისათვის შესაბამისი ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა. ეს აკადემიისთვის მნიშვნელოვანი პრედიქტორია კურიკულუმის გადახედვისათვის.

დასკვნა

ბავშვების და მათი ოჯახების კეთილდღეობა წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის დღის წესრიგის შესრულების მნიშვნელოვან მექანიზმს. მიჩნეულია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების 65 პროცენტის განსახორციელებლად საჭიროა ეფექტური სოციალური მომსახურებების მიწოდება (UNICEF & GSSWA, 2019). შესაბამისად, ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის გამართული სისტემებისა და ეფექტური სოციალური მუშაობის სტრატეგიების დანერგვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. სტატიაში განხილული საკითხები კი, გადამწყვეტ როლს თამაშობს სოციალური მუშაობის ეფექტური პრაქტიკის დანერგვაში, რაც, თავის მხრივ, ბავშვებისა და ოჯახთა კეთილდღეობის და საქართველოს უკეთესო მომავლის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია.

გამოყენებული ლიტერატურა

Bucci, M., Marques, S. S., Oh, D., Harris, N. B. (2016). Toxic Stress in Children and Adolescent. *Advances In Pediatrics*, 63 (1), 403-428.

Global Civil Society Report on the 2030 Agenda and the SDGs (2021). *Spotlight on Sustainable Development. 2030 Spotlight*

Jansson, B.S. (2016). *Social Welfare Policy and Advocacy*. SAGE

Partskhaladze, N., Shatberashvili, N. (2023). History of Social Work Development in Georgia. *Socialinis Darbas, Vol.(29)*. 1, 9-28. <https://doi.org/10.7220/2029-5820.29.1>

Public Defender Office. (2017). *Violence Against Children in General Educational Institutions*

Ostaszewski, K., Ferimc, M., Foxcroft, D.R., Kosir, M., Kranzelic, V., Mihic, J., Novak, M., Pisarska, A., Talic, S. (2018). European Prevention Workforce Competencies and Training Needs: an Exploratory Study. *Adiktologie*, 18 (1), 07-15.

Sadzaglishvili, S., Gigineishvili, K. (2023). Georgian Social work Development: from Micro to Macr Social Work Rolles. In K., Majumddar, R. Baikad, & A.A., D'Souza (Eds.), *Indigenizarion Discourse in Social Work: Inyernational Perspectives* (pp. 67-83). Springer.

Staub-Bernasconi, S (2010). *Ethical Dilemmas in Social Work: International Perspective* (pp.25-38). Faculty of Social Work, University of Ljubljana.

საქართველოს სოციალური მუშაკთა ასოციაცია (2011). *სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი*. თბილისი